ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულო

**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №**

განკარგულება:**g-67. 67261144**

თარიღი:**24/04/2026**

**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №15**

**ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ**

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ წითელხევში 30.13.34.386 საკადასტრო კოდზე მდებარე შენობა -ნაგებობა (წითხელხევის ყოფილი საკრებულოს შენობა) წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ძირითად ქონებას. თუმცა, ფაქტობრივად აღნიშნულმა ქონებამ დაკარგა თავისი ფუნქციური დანიშნულება და აღარ გამოიყენება ძირითადი ქონების სახით გადმოცემული ფუნქციური დანიშნულებით. ამასთან, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის (28/03/2024 წლის №002085324) თანახმად, შენობა-ნაგებობა ავარიული და საფრთხის შემცველია და ექვემდებარება დემონტაჟს. აღნიშნულიდან გამომდინარე,

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ე.დ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 121-ე მუხლის შესაბამისად,

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. მიეცეს თანხმობა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერს, რათა მოახდინოს 30.13.34.386 საკადასტრო კოდზე მდებარე (№1 შენობა-ნაგებობა, სართული I - 755.4კვ.მ.; სართული II – 385.65 კვ.მ.) ძირითადი ქონების დემონტაჟის ფორმით პრივატიზება (მიწის გარეშე);

2. დამტკიცებული იქნას საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა წინამდებარე განკარგულების დანართი №1-ის შესაბამისად (დანართი №1 თან ერთვის).

3. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში მისამართზე: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11, მისი ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში.

გურამი კიკნაველიძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი